



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/2974

23/03/2023

2974-15-10-2-202303230943



სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს  
ბატონ კარლო კაციტაძეს

### წინადადება

**მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ განხორციელებული საგარაუდო  
არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული  
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის  
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო კარლო,

2023 წლის 12 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა N6 პენიტენციურ  
დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულ [REDACTED] შეხვედრისას  
მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ 2023 წლის 04-09 იანვრის პერიოდში ის მოთავსებული  
იყო დეესკალაციის ოთახში. განმარტავდა, რომ იქ ყოფნის 6 დღიან მონაკვეთში, საკვები  
მიაწოდეს მხოლოდ ორჯერ, კერძოდ, მესამე და მეოთხე დღეს.

სახალხო დამცველის აპარატში მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის  
ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს, რათა მომხდარიყო

რელევანტურ ვიდეო ჩანაწერთა დაარქივება და მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება.<sup>1</sup>

## ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს, რათა დაედგინა, მსჯავრდებულს ხომ არ ჰქონდა გამოცხადებული შიმშილობა 2023 წლის იანვრის თვეში.<sup>2</sup> მიღებული პასუხის თანახმად, მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდება.<sup>3</sup>

სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ, 2023 წლის 02 მარტს დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ დეესკალაციის ოთახის შიდა სივრცის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა ხსენებულ პერიოდში. კერძოდ, რელევანტური იყო 2023 წლის 04-09 იანვრის დღეები იმ საათებში, როდესაც პენიტენციური დაწესებულების მიერ ხდებოდა მსჯავრდებულთათვის საკვების ჩამოტარება. ამასთან, დათვალიერდა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ დეესკალაციის ოთახთან მდებარე კორიდორის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა დასახელებულ პერიოდში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 04 იანვრის ჩანაწერები გაურკვეველი მიზეზით არ დაარქივებულა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ და შესაბამისად, სახალხო დამცველის რწმუნებულმა ვერ შეძლო მისი ნახვა. ამდენად, დათვალიერდა 2023 წლის 05-09 იანვრის ამსახველი ვიდეო ჩანაწერები (5 დღე).

ჩანაწერების ნახვის შედეგად დადგინდა, რომ 5 დღის განმავლობაში მსჯავრდებულს საკვები გადაეცა სამჯერ, პირველად საკვები მას გადაეცა 2023 წლის 07 იანვარს - მხოლოდ სადილი, მეორედ მას საკვები გადასცეს 2023 წლის 08 იანვარს - მხოლოდ საუზმე, ხოლო მესამედ - 2023 წლის 09 იანვარს - საუზმე. ამდენად, 5 დღის განმავლობაში პატიმარს მიყოლებით საკვები არ მიუღია ორი დღის განმავლობაში, ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 დღეს სამჯერადი კვების ნაცვლად მიიღო მხოლოდ ერთი კვება. 04 იანვრის ჩანაწერების არ არსებობის მიზეზით, ვერ დადგინდა ამ დღეს მიიღო თუ არა საკვები მსჯავრდებულმა ან ხომ არ მომხდარა პატიმრის მიმართ სხვა უკანონო ქმედებებიც.

ვიდეო ჩანაწერების დათვალიერებისას დადგინდა, რომ საკვების ჩამოტარების ყველა ეპიზოდში პატიმარი იყო მწოლიარე პოზიციაში და სავარაუდოდ ეძინა, ხოლო როდესაც მის საკანთან მიდიოდა N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი, უმეტეს შემთხვევაში, საკნის სარკმელი იღებოდა

<sup>1</sup> სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 იანვარს N 15-10/530 წერილი.

<sup>2</sup> სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 იანვრის N 15-10/532 წერილი.

<sup>3</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 27 იანვრის N 22715/01 წერილი.

მხოლოდ 3-4 წამის განმავლობაში, იყო შემთხვევები როდესაც სარკმელი მხოლოდ 1 წამის განმავლობაში იყო ღია.

ვიდეო ჩანაწერიდანაც ჩანს, რომ ასეთ მოკლე პერიოდში არა თუ პატიმრისგან პასუხის მიღება, არამედ მისთვის კითხვის დასმაც ვერ ესწრებოდა, სურდა თუ არა საკვების მიღება, ზედმეტია საუბარი მისი შეფხიზლების მცდელობაზე. აღსანიშნავია, რომ პატიმრის გამოსალვიძებლად ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ის მშიერი დატოვეს, N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს არ ჰქონია მცდელობა ის გაელვიძებინა დაძხებით ან კარზე დაკავუნებით, ასევე დალოდებოდა 5 წამზე მეტ ხანს. ის ფორმალურად ხსნიდა სარკმელს და ხურავდა მაშინვე.

საინტერესოა ამ მხრივ ის შემთხვევები, როცა პატიმრისთვის მოხდა საკვების გადაცემა. სამივე ასეთ შემთხვევაში, პატიმარს ეძინა, თუმცა N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი 10-15 წამამდე პერიოდში ელოდებოდა მის შეფხიზლებას და შემდგომ მიეწოდებოდა საკვები (პური). ამდენად მისი ძილი და გამოფხიზლების რამდენიმე წამიანი ლოდინი, არ წარმოადგენდა რამე ხელშემშლელ გარემოებას საკვების გადაცემის მიზნებისთვის.

ხაზგასასმელია ის ტენდენცია, რაც ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების შედეგად გამოიხატა, კერძოდ, თუკი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი დეესკალაციის კორიდორიდან პატიმრის სავნის ფლიგელში შედიოდა ხელცარიელი, ასეთი შემთხვევები ყოველთვის მთავრდებოდა ერთი შედეგით - მსჯავრდებულს კვება არ გადაეცემოდა. ხოლო, როდესაც საჭმლის ურიკადან სამეურნეო პატიმარი იღებდა საკვებს (სამი ასეთი შემთხვევა იყო) და ისე გადადიოდა მსჯავრდებულის საკანთან, ყველა ასეთ დროს საკვების გადაცემა ხდებოდა მსჯავრდებულისთვის.

ამდენად, ჩნდებოდა იმის განცდა, რომ საკანთან მისვლამდე, წინასწარვე შეთანხმებულად იცოდნენ N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელმა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულმა პატიმარმა, გადასცემდნენ თუ არა საკვებს პატიმარს.

ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც სამეურნეო პატიმარი საკვებით შევიდა პატიმრის საკანთან და პატიმარს ის არ გადაეცა, იყო შემთხვევა (08 იანვრის სადილის კვება), როდესაც N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო პატიმარი ერთმანეთში საუბრობდნენ და სხეულის მოძრაობიდან ჩანდა, რომ თანამშრომელმა მას, გაურკვეველი მიზეზით, მოსთხოვა, საკვები შეენახა სავნის გარეთ განთავსებულ კარადაში და მხოლოდ ამის შემდგომ გახსნა მან საკნის სარკმელი, რაც იმით დასრულდა, რომ მსჯავრდებულს არ გადასცემია საკვები.

გამოსაყოფია 06 იანვრის ვახშმის ეპიზოდი, როდესაც მსჯავრდებული ფეხის ხმაზე უცბად ფხიზლდება, სწრაფი მოძრაობით დგება, თუმცა ვინაიდან სარკმელი 3 წამის განმავლობაში იყო მხოლოდ ღია, ვერ ასწრებს კარებთან მისვლას. თუმცა, ის იწყებს კარებზე კაცუნს და ვიდეო ჩანაწერის თანახმად, როდესაც ის ამას აკეთებს, N6 პენიტენციური დაწესებულების

თანამშრომელი და სამეურნეო პატიმარი ჯერ კიდევ მის ფლიგელში არიან და ხმასაც გაიგებდნენ. თუმცა ამის მიუხედავად, ისინი უკან არ ბრუნდებიან და არც საკვებს აწვდიან.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან 2023 წლის 22 თებერვლის შეხვედრისას, [REDACTED] დამატებით მიუთითა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა არაერთხელ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე.<sup>4</sup> მსგავსი დამოკიდებულების შესახებ პატიმარი ხშირად მიუთითებდა N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროსაც (სანამ N6 დაწესებულებაში გადმოიყვანდნენ).

ამდენად, არ არის გამორიცხული მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი ჩადენილი იყოს სწორედ ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების შეუწყნარებლობის მოტივით.

## სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში - „კონვენცია“) მე-3 მუხლის თანახმად: „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა, ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.“ პირის ღირსებისა და მისგან გამომდინარე ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა, წარმოადგენს, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის, ისე მე-8 მუხლის დაცვის სფეროს. მათ გასამიჯნად გამოიყენება ვერტიკალური სფერო.<sup>5</sup> მაშინ, როდესაც მოპყრობა აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, ქმედება გადადის უკვე აბსოლუტურად აკრძალულ სფეროში, რომელსაც გამონაკლისი არ გააჩნია.<sup>6</sup>

ამდენად, პირველ ეტაპზე მოპყრობის ხასიათი ფასდება იმის დასადგენად, რათა განისაზღვროს არის თუ არა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სახეზე. თუმცა, ასეთი ვერტიკალური სფერო თავად მე-3 მუხლის ფარგლებს შიგნითაც არსებობს, ვინაიდან ერთგვარი გრადაციაა წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას/დასჯას შორისაც.<sup>7</sup>

კონვენციით გაცხადებულ უფლებებს მოქმედებაზე პრეტენზია რომ გააჩნდეთ, საჭიროა მათი პრაქტიკული და ეფექტური დაცვა. აღნიშნული წევრ სახელმწიფოებს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის აკრძალვას. რაც შეეხება პოზიტიურ ვალდებულებას, ის შესაძლოა დაიყოს ორ კატეგორიად: ა) მოთხოვნა, რომ სამართლებრივმა სისტემამ უზრუნველყოს პირთა დაცვა

<sup>4</sup> ხსენებულ ფაქტზე სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წლის 01 მარტს N 15-10/2181 წერილით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს, შემდგომი რეაგირებისთვის.

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Muršić v. Croatia [GC], 2016, § 97.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nicolae Virgiliu Tănase v. Romania [GC], 2019, §§ 121 and 123.

თავდასხმისგან; ბ) პროცედურული ვალდებულება, რომელშიც იგულისხმება დაცვის სამართლებრივი საშუალებების უზრუნველყოფა, როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე სამოქალაქო წესით.

ხაზი უნდა გაესვას სპეციალური კონტროლის ქვეშ მყოფ პირებზე სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ვალდებულებას - როდესაც პირები იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი პასუხისმგებლობის ან ეფექტური კონტროლის ქვეშ.<sup>8</sup>

პატიმრების შემთხვევაში, ისინი იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, რის გამოც მოწყვლადები არიან და იმ საფრთხის ქვეშ დგანან, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ.<sup>9</sup>

სახელმწიფოს ისედაც უპირობო უპირატესობა გააჩნია მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისადმი, ხოლო ეს უპირატესობა და ძალაუფლება განსაკუთრებით მოჭარბებულია, როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. ასეთ ძალაუფლებას სჭირდება შემაკავებელი ბერკეტები და კონტროლი.

კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლი წაკითხული პირველ მუხლთან ერთად, სავალდებულოდ ითხოვს ქმედითი გამოძიების ჩატარებას. ეს მუხლები თავიანთი მნიშვნელობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მაღალ თამასას უწესებს სახელმწიფოს არა მხოლოდ მატერიალური ასპექტით, არამედ პროცესუალური კუთხითაც.<sup>10</sup>

ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დებულებიდან გამომდინარეობს და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. ამასთანავე, გამოძიება უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ ყველა ძალისხმევა იყოს გამოყენებული, რათა მოხდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოყვრობის ლეგალური აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაუფექტიანი იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევას, თითქმის სრული დაუსჯელობის პირობებში.<sup>11</sup>

იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, ამასთანავე იმის განსასაზღვრად, თუ ღირსების საწინააღმდეგო რომელი სახის მოპყრობაა სახეზე, გამოიყენება რამდენიმე კრიტერიუმი. მართალია, სასამართლოს წინასწარ არ აქვს რაიმე მზა ფორმულა, რომელიც პირდაპირ გაგვცემდა პასუხს, სახეზეა წამება, თუ არაადამიანური მოპყრობა, თუმცა პრაქტიკაში გამოვლენილ მაგალითებზე დაყრდნობით

<sup>8</sup> ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.

<sup>9</sup> იქვე. 73

<sup>10</sup> Guide on Article 3 of the European Convention on Human Rights, 6-7, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3YVth05>> [15.02.2023].

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Assenov and others v. Bulgaria, №24760/94, §102, 28/10/1998.

შესაძლებელია იმ კრიტერიუმთა გამოყოფა, რომელსაც ყურადღებას აქვევს სასამართლო ქმედების ხასიათის სწორად შესაფასებლად:<sup>12</sup> მოპყრობის ხანგრძლივობა; მოპყრობის ინტენსიურობა; მოპყრობის შედეგები ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე; ასევე ცალკეულ შემთხვევებში ყურადღება შესაძლოა მიექცეს პირის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და სხვ.

რაც შეეხება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, ამ დროს ორი პირობა არსებობს კუმულაციურად: სახეზეა სიძულვილის ენა და ამასთან, განხორციელებული ქმედება წარმოადგენს დანაშაულს - კანონით დასჯად ქმედებას, მისი საშიშროებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, როგორც სიძულვილის ენა, ისე სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მიმართულია კონვენციით განმტკიცებული უფლებებისა და ღირებულებების წინააღმდეგ, თუმცა გრადაცია არსებობს მათ საშიშროებასთან დაკავშირებით, რაც აისახება, ერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაწესებით, ხოლო, მეორე შემთხვევაში - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით.

სიძულვილის მოტივის ინდიკატორი ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს: დაზარალებულის კუთვნილება რომელიმე უმცირესობის ჯგუფისადმი, ქმედების ადგილი, დრო, მოტივის არ არსებობა და სხვა.

### წინამდებარე საქმის ანალიზი

მოცემულ შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობისთვის დადგენილი მინიმალური სისასტიკის ზღვარი სახეზეა. აღნიშნულს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

- [REDACTED] მისი მსჯავრდებულის სტატუსიდან გამომდინარე, იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური, ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ. ამ მიზეზით, ის მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნება, მუდმივად იმ საფრთხის ქვეშ არის, რომ უფლებამოსილება მის წინააღმდეგ ბოროტად შეიძლება იყოს გამოყენებული. ეს ფაქტი პატიმრისთვის ცნობილია, ხოლო დაუცველობის განცდა კიდევ უფრო მეტ ინტენსივობას მატებს იმ უკანონო მოპყრობას, რომელსაც ის შეიძლება დაექვემდებაროს;
- [REDACTED] 04-09 იანვრის პერიოდში იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში, მაშინ როდესაც, N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების თანახმად, მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 72 საათი. ამდენად საკითხი წამოიჭრება იმასთან დაკავშირებით, რომ სახეზეა ადმინისტრაციის თვითნებობა;
- მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდი, დამატებითი ზემოქმედების გარეშეც, იმთავითვე დამთრგუნველია პატიმრისთვის,

<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Khlaifia and Others v. Italy [GC], 2016, § 160.

ვინაიდან იქ ყოფნის დროს კიდევ უფრო შეზღუდული აქვს უფლებები. კერძოდ, ვერ სარგებლობს გასეირნების უფლებით, ასევე ტელევიზორის ყურება, რადიოს მოსმენა ან რაიმე წებისმიერი აქტივობის განხორციელება დღის არცერთ მონაკვეთში არ შეუძლია (ამ შემთხვევაში მან 6 დღე დაყო მსგავს ვითარებაში);

- ვიდეო ჩანაწერებით დადგენილია, რომ მიყოლებით ორი დღის განმავლობაში მსჯავრდებულს საკვები საერთოდ არ მისცეს, ხოლო მომდევნო სამი დღის განმავლობაში, მას დღეში მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ საკვებს, ნაცვლად სამჯერადი კვებისა. ერთი დღის ჩანაწერები პენიტენციურმა სამსახურმა არ დაარქივა და შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი ვერ გაეცნო იმ დღეს არსებულ ვითარებას, რაც დამატებით საეჭვო გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს;
- ვინაიდან მას არ შეუძლია ქართულად გასაგებად მეტყველება/მოსმენა, აღნიშნული კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობასა და შიშში ამყოფებდა, თუ რატომ არ აწვდიდნენ მას საკვებს;
- შეფასებისთვის გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორია ამგვარი მოპყრობის შედეგები ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

ზემოხსენებული გარემოებები მსჯავრდებულისთვის ქმნიდა დამაშინებელ გარემოს, მასში კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა იმ გრძნობას, რომ ციხეში ის დაუცველი იყო. გარდა იმისა, რომ 6 დღის განმავლობაში განთავსებული იყო დესკალაციის ოთახში, დამატებით ხორციელდებოდა მასზე შესაძლო არასათანადო მოპყრობა - სავარაუდოდ განზრახ აშიმშილებდნენ.

ხანგრძლივმა შიშშილმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის სხეულსა და გონებას. შიმშილობას ახასიათებს სხვადასხვა სიმპტომი, მათ შორის:<sup>13</sup> შიმშილის შეგრძნება; მადის დაკარგვა; აპათია და გაღიზიანებადობა; თავის ტკივილი; თავბრუსხვევა; გაძნელებული მოძრაობა; უძილობა; შფოთვა; მუცლის ტკივილი; ნევროლოგიური პრობლემები.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ შიმშილობის პერიოდში გარდა იმისა, რომ მსჯავრდებულმა არ იცოდა, მას ასე რატომ ექცეოდნენ და არ აწვდიდნენ საკვებს, მისთვის ისიც უცნობი იყო, თუ რამდენი დღე გაგრძელდებოდა მისი ეს მდგომარეობა, რაც დამატებით შიშს, სტრესსა და შფოთვასთან იყო დაკავშირებული მისთვის.

მსჯავრდებული ხედავდა, რომ მისი საკნის სარკმელი იღებოდა და 2-3 წამში, ისე რომ წამოჯდომასაც ვერ ასწრებდა, იხურებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მას სარკმლის გაღების ხმაც არ გაუგია და ეძინა, ამდენად მთელი დღის განმავლობაში ის ელოდებოდა საკვების

<sup>13</sup> Hunger strike among detainees: guidance for good medical practice. Cézaz L, Rieder JP, Nyffenegger L, Eytan A, Gaspoz JM, Wolff H. Swiss Med Wkly. 2012 Sep 17;142:w13675. doi: 10.4414/smw.2012.13675. eCollection 2012. PMID: 22987064, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3ZVv02Q>> [15.03.2023].

მიტანას, რომელიც არ გადაეცა საბოლოოდ. იყო შემთხვევა, როდესაც ის ფეხის ხმის გაგონებაზე მწოლიარე პოზიციიდან სწრაფი ნაბიჯით წამოდგა, რათა N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი არ წასულიყო და კარებზე კაკუნიც დაიწყო, რათა მიზრუნებულიყვნენ მასთან და გადაეცათ საკვები, რაც არ მომზადარა.

ამგვარ მოპყრობას სავარაუდოდ უნდა გამოეწვია ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ ის ყოველდღიურად გრძელდებოდა. მსგავსი ქმედება მიმართული უნდა ყოფილიყო პირის ღირსების შელახვისკენ, მასში შიშისა და დაუცველობის შეგრძნების გასაღვივებლად.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებული უთითებს ციხის თანამშრომლების მიერ მისდამი მტრულ დამოკიდებულებაზე, რაც ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებასთან არის დაკავშირებული და საჭიროა გამოძიება წარიმართოს ამ კუთხითაც.

### დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ და ჩაატაროთ ეფექტიანი გამოძიება მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობაზე.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

